ბრძანება:**ბ14.142106028**
თარიღი:**01/03/2021**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე მუხლის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების (2022-2025 წწ.) დოკუმენტის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფი, თანახმად დანართი 1-ისა.

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების (2022-2025 წწ.) დოკუმენტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი, თანახმად დანართი 2-ისა;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსირებადი ორგანიზაციების მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა, თანახმად 3-დან 9-ის ჩათვლით დანართებისა.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს:

ა) ცხრილებისა და ფორმების მიწოდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებზე და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე 2022-2025 წლებისათვის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროგრამების და ქვეპროგრამებისათვის საჭირო საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების შესადგენად, ასევე შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად (რომელთა ადმინისტრირებაზეც არიან პასუხისმგებელი);

ბ) საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადება;

გ) ბიუჯეტის პროექტის მომზადება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 06 მარტის №219 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი